პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

ЛЕЛО

Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и Грузинского республиканского совета профсоюзов

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

№ 34 (1516) ○ კვირა, 20 მარტი, 1960 წ. ○ გამოცემის მე-16 წელი ○ ფასი 30 კაპ.

## 14 წლის ჩემპიონები

ლუჟნიკის სპორტის სასახლეში ექვს დღეს გრძელდებოდა საბჭოთა კავშირის პირველობა ციგურებით ფიგურულ სრიალში. წყვილთა შორის ჩვენი ქვეყნის ჩემპიონობა მოიპოვეს ნორჩმა ლენინგრადელმა სპორტსმენებმა — 14 წლის ტ. ჟუკმა და 16 წლის ს. გავრილოვმა. ვაჟთა შორის ოქროს მედალი წილად ხვდა მოსკოველ ლ. მიხაილოვს, ქალთა შორის — 14 წლის მოსკოველ მოსწავლეს ტ. ნემცოვას.

## თბილისის დინამოელებს — ვერცხლის მედლები

ლენინგრადი. (ჩვენი სპეც. კორ.). აქ დამთავრდა საბჭოთა კავშირის პირველობის გათამაშება კალათბურთში ვაჟთა გუნდებისათვის. ჩემპიონატის დამთავრებამდე ორი დღით ადრე მოსკოვის არმიელთა კოლექტივმა გაინაღდა პირველი ადგილი. ბრძოლა უკანასკნელ დღეს ძირითადად წარმოებდა მეორე საპრიზო ადგილისათვის, რომელზეც პრეტენზიას ორი გუნდი აცხადებდა — თბილისის „დინამო" და რიგის სკვო. თბილისის კალათბურთელები ამ დღეს თამაშობდნენ ლენინგრადის სპარტაკელებთან. ეს მატჩი ჩვენმა კალათბურთელებმა კვლავ მაღალ დონეზე ჩაატარეს და მოიპოვეს დამსახურებული გამარჯვება — 71:65. რიგის არმიელთა გუნდმა განიცადა დამარცხება კიევის ფიზკულტურის ინსტიტუტის კოლექტივისაგან. ამრიგად, თბილისის „დინამომ" გათამაშების ცხრილში დაიკავა მეორე ადგილი.

მესამე ადგილზე გამოვიდა რიგის ვეფი, რომელმაც ძლიერად ჩაატარა ლენინგრადის ტურის მატჩები. უკანასკნელი თამაში რიგელებმა მოუგეს თბილისის „ბურევესტნიკს" — 76:52. მომდევნო ადგილებზე გამოვიდნენ: სკვო (რიგა), „სპარტაკი" (ლენინგრადი), სკიფი (კიევი), „ბურევესტნიკი" (ლენინგრადი), „დინამო" (მოსკოვი), სკიფი (კაუნასი), სკიფი (ბაქო), „ურალმაშზავოდი" (სვერდლოვსკი) და „ბურევესტნიკი" (თბილისი).

• • •

ჩემპიონატზე დაწესებული იყო პრიზები, რომელიც გადაეცათ შემდეგ კალათბურთელებს: ა. კანდელს („ურალმაშზავოდი", სვერდლოვსკი) როგორც ყველაზე შედეგიან მოთამაშეს, ვ. კონდრაშოვს („სპარტაკი", ლ-დი) — საჯარიმო სროლების საუკეთესო შესრულებისათვის, ა. პეტროვს (სკიფი, ბაქო) — ფარზე უკეთ მუშაობისათვის, ნ. ლეონოვს („სპარტაკი", ლენინგრადი) — როგორც საუკეთესო გამთამაშებელს.

## [illegible]

ელვის სისწრაფით მოედო მთელს მსოფლიოს ცნობა 4 საბჭოთა მეზღვაურის არნახული გმირობის შესახებ, რომლებიც 49 დღის განმავლობაში მშიერ-მწყურვალნი მამაცურად ებრძოდნენ განრისხებულ ოკეანეს.

ეს მოხდა 17 იანვარს, გვიან ღამით, როცა წყნარ ოკეანეზე უძლიერესი ქარიშხალი ბობოქრობდა. საბჭოთა ბარჟამ, რომელზეც იყვნენ ა. ზიგანშინი, ფ. პოპლავსკი, ა. კრიუჩკოვსკი, და ი. ფედოტოვი, მოულოდნელად დაკარგა კავშირი ხმელეთთან.

მამაცი მეზღვაურები თავგანწირვით ებრძოდნენ აბობოქრებულ ოკეანეს, სურსათი კი ილეოდა. რამდენ ხანს უნდა ყოფნოდათ მათ ერთნახევარი ქილა ღორის კონსერვი, ცოტაოდენი პური და კარტოფილი! გავიდა ერთი კვირა, მეორე, გათავდა სასმელი წყალი. მეზღვაურებმა იწყეს წვიმის წყლის მოგროვება. გამოუვალი მდგომარეობა შეიქმნა მაგრამ ისინი მაინც არ კარგავდნენ იმედს.

მეზღვაურები დასაწყისში დღეში ერთხელ ჭამდნენ, ხოლო შემდეგ — დღეგამოშვებით.

უკვე თებერვალი იწურებოდა. საკვები კარგახანია გათავდა. სხვა გამოსავალი არ იყო. დაჭრეს ჩექმები და მოხარშეს მისი უხეში ტყავი. გათენდა 2 მარტი. ჰორიზონტზე გამოჩნდა გემი, ამ ამბავმა ყველა გამოაცოცხლა და ახალი ენერგია შემატა, მაგრამ განწირულთა ნიშანი გემისათვის შეუმჩნეველი დარჩა. 4 დღის შემდეგ განმეორდა იგივე ისტორია. გვიან ღამით, ა. ზიგანშინმა ოკეანეში სინათლე შენიშნა, ნიშანიც მისცა, მაგრამ მან ხომალდამდე ვერ მიაღწია.

7 მარტს დღის 4 საათზე მამაცი ოთხეულის ყურადღება მიიპყრო ხმაურმა. მალე ბარჟის თავზე გამოჩნდნენ თვითმფრინავები, რომელთაგან ერთ-ერთმა მიიღო ნიშანი და რამდენიმე წრე გააკეთა მის თავზე. მალე გამოჩნდნენ შვეულმფრენები. ერთ-ერთმა ოკეანეში ჩამოუშვა ფოლადის ტროსი მარყუჟით. გამოჩნდა გემიც, საიდანაც აცნობეს რომ შვეულმფრენი მეზღვაურების დასახმარებლად მოვიდა. 4 საბჭოთა მეზღვაური შვეულმფრენის დახმარებით ამერიკულ ავიამზიდ „კირსარჟზე" აიყვანეს, რომელმაც ისინი სან-ფრანცისკოში ჩაიყვანა.

საბჭოთა ხალხი აღტაცებულია თავისი მამაცი შვილების გმირობით, ვერაფერმა შეარყია მათი სულისკვეთება, ვერ გასტეხა მათი ნება.

ჩვენი ხალხის გრძნობები მკაფიოდაა გამოხატული ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის მისასალმებელ დეპეშაში ამ მამაცი ადამიანებისადმი:

„თქვენი გმირობით, უმაგალითო გულადობით თქვენ გაამრავლეთ ჩვენი სამშობლოს დიდება, რომელმაც აღზარდა ესოდენ მამაცი ადამიანები. საბჭოთა ხალხი სამართლიანად ამაყობს თავისი გულადი და ერთგული შვილებით."




## დიდი მატჩი

მეორე ტურში ბოტვინიკი თეთრებით თამაშობდა. მან აირჩია დახურული დებიუტი. გათამაშდა ძველინდური დაცვა. მანევრულ ბრძოლაში ტალმა ფიგურები გაცვალა, გაამარტივა მდგომარეობა და მოწინაალმდეგეს ყაიმი შესთავაზა. ბოტვინიკის პასუხის — „გააკეთეთ სვლა" — შემდეგ შავებმა ითამაშეს 21-ე სვლა. შემდგომ ბოტვინიკი ყოველნაირად ცდილობდა გაენემტკიცებინა ის მცირეოდენი შანსები, რომლებიც მას გამარჯვების მოპოვების რაღაც იმედს აძლევდნენ. ბოტვინიკის უპირატესობა მისი პოზიციის მეტი აქტიურობით გამოიხატებოდა. 25-ე სვლაზე გაიცვალა ლაზიერებიც. მსოფლიო ჩემპიონმა დაიწყო ცენტრალური პაიკების წინ წაწევა. ხანგრძლივი ფიქრის შემდეგ ტალმა გადაწყვიტა პაიკებთან საბრძოლველად მეფის ცენტრში გაყვანა და განახორციელა კიდეც ეს მანევრი. მალე თავისუფალი მოქმედების საშუალება მიეცათ მის ფიგურებსაც და მოწინაალმდეგეთა შანსებიც სავსებით გათანაბრდა. 44-ე სვლაზე ახლა უკვე ბოტვინიკმა შესთავაზა მეტოქეს ყაიმი, რომელიც ტალმა მიიღო.

გუშინ მოსკოვში პუშკინის სახელობის დრამატიულ თეატრში, სადაც მიმდინარეობს მატჩი მსოფლიო პირველობაზე ჭადრაკში, გათამაშდა მე-3 პარტია. მ. ტალი თამაშობდა თეთრებით.

38-ე სვლაზე მოწინააღმდეგენი ყაიმზე შეთანხმდნენ.

ამრიგად მატჩის ანგარიშია 2:1 მ. ტალის სასარგებლოდ.

## უკტუსის მთიანეთში

სვერდლოვსკის მახლობლად, უკტუსის მთების სათხილამურო ტრასაზე გრძელდება ჩვენი ქვეყნის უძლიერეს მოთხილამურეთა შეჯიბრება საბჭოთა კავშირის პირველობაზე. ბიატლონში უძლიერესი აღმოჩნდა დინამოელი ა. პრივალოვი, 30 კილომეტრზე რბენაში — ი. უტრობინი („ტრუდი"), რომლის შედეგია 1:39.22. 17 მარტს გაიმართა რბენა 15 კილომეტრზე. ჩემპიონის წოდება ამ სახეობაში მოიპოვა საბჭოთა არმიის წარმომადგენელმა მ. ვაგანოვმა, რომლის შედეგია 47 წუთი და 5 წამი.

### ორ დისტანციაზე

10-14 მარტს მოსკოვში ჩატარდა სპორტსაზოგადოება „სპარტაკის" ცენტრალური საბჭოს პირადი პირველობა ცურვაში. შეჯიბრებაში წარმატებას მიაღწია მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადის ჩემპიონმა 200 მეტრზე ბრასის სტილით ცურვაში, თბილისელმა ი. ფუნიკოვმა. ამჯერად მან მოიგო შეჯიბრება ორ დისტანციაზე და „სპარტაკის" ცენტრალური საბჭოს ჩემპიონი გახდა 100 და 200 მეტრზე ბრასის სტილით ცურვაში. მისი შედეგია შესაბამისად 1.16,0 და 2.45,8.

## სპეციალისტების აზრით...

კალათბურთში საბჭოთა კავშირის პირველობის დამთავრებასთან დაკავშირებით „სოვეტსკი სპორტის" კორესპონდენტმა საკავშირო კატეგორიის მსაჯს ა. კიაზის და საბჭოთა კავშირის დამსახურებულ მწვრთნელს ა. ნოვოჟილოვს მიმართა კითხვით:

— როგორ შეადგენდით საბჭოთა კავშირის ნაკრებს რომის ოლიმპიური თამაშებისათვის?

ა. კიაზიმ ჩამოთვალა 12 სპორტსმენი: ზუბკოვი, ვოლნოვი, სემიონოვი, ალაჩაჩიანი (ცსკ მო), კორნეევი, სტუდენეცკი (მოსკოვის „დინამო"), კრუმინში, ვალდმანისი, ვ. მუიჟნიეკსი (რიგის სკვო), ოზერსი (რიგის ვეფი), მინაშვილი, უგრეხელიძე (თბილისის „დინამო").

ა. ნოვოჟილოვის აზრი ასეთია: ზუბკოვი, ვოლნოვი, სემიონოვი, ალაჩაჩიანი (ცსკ მო), კრუმინში, ვალდმანისი (რიგის სკვო), მინაშვილი, უგრეხელიძე, მოსეშვილი (თბილისის „დინამო"), კორნეევი (მოსკოვის „დინამო"), პეტროვი (ბაქოს სკიფი), კუტუზოვი (ლენინგრადის „ბურევესტნიკი").



საბჭოთა კავშირის 1960 წლის პირადი პირველობა თავისუფალ ჭიდაობაში.

სურათზე: თბილისელი ზ. მჭედლიშვილი ორივე ბეჭზე აწვენს მინსკელ ი. რივკინს.

შეჯიბრების ანგარიში იხ. მე-3 გვ.

## ახალ გაზეთ

ქუთაისის ელექტრომექანიკური ქარხნის დირექციამ ფიზკულტურელთათვის გამოჰყო ოთახი, სადაც მოეწყო საჭადრაკო კლუბი. აქ ამ დღეებში მოეწყო ქარხნის პირადი პირველობა ჭადრაკში.

წარმატება წილად ხვდა მეორეთანრიგოსან ი. კოტრიკაძეს, რომელმაც მხოლოდ ნახევარი ქულა დაკარგა. მეორე ადგილზე გამოვიდა კონსტრუქტორი მ. ხანანაშვილი, მესამეზე — მექანიკური საამქროს უფროსი შ. ადამია.

აქვე გაიმართა ქარხნის პირველობა მაგიდის ჩოგბურთში.

ლ. ფაჩუაშვილი



სურათზე: „კოლმეურნის" ცენტრალური პირველობა კრივში. რ. კეკელიძისა (მახარაძე) და ფ. აიდინოვის (წალკა) შეხვედრის მომენტი.

# პირველად და კარგი შედეგებით

მახარაძის სახელმწიფო თეატრის შენობაში ჩატარდა სპორტსაზოგადოება „კოლმეურნის" მოზარდ მოკრივეთა პირადი პირველობა. აღსანიშნავია, რომ მსგავსი ღონისძიება „კოლმეურნის" ისტორიაში პირველად ჩატარდა. შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ აფხაზეთის, აჭარის, მახარაძის, თელავის, ახალციხის, ზუგდიდის, წალკის, მარნეულის რაიონული და ფოთის საქალაქო საბჭოების ნორჩი მოკრივეები.

სამი დღის საინტერესო ბრძოლების შემდეგ საზოგადოების ჩემპიონები გახდნენ: 46-48 კგ-ში — გ. ქადუა (ზუგდიდი), უმჩატეს წონაში — ვ. ვასილევსკი (მახარაძე), მპატეში — გ. ჩიჩკო (ზუგდიდი), ქვემსუბუქში — ი. მატვეევი (ფოთი), მსუბუქში — ი. მუსტაფაევი (სოხუმი), პირველ ქვესაშუალოში — დ. კირვალიძე (ფოთი), მეორე ქვესაშუალოში — ი. გვაჯავა (სოხუმი), პირველ საშუალოში — გ. ბალოიანი (მარნეული), მეორე საშუალოში — ვ. კოკისკირი (სოხუმი), ქვემძიმეში — ე. ფროლოვი (თელავი), მძიმეში — ვ. შონია (ფოთი).

შეჯიბრებამ გამოავლინა ნიჭიერი მოზარდი მოკრივეები: დ. ცინცაძე ო. წიტაშვილი (ორივე მახარაძე), ვ. ხიბა (სოხუმი), ა. შეროზია, გ. შონია (ორივე ფოთი), ი. შულჟენკო, ზ. ქირია (ორივე ზუგდიდი), ე. გოგიტიძე (ბათუმი) და სხვ.

ზუსტად, სანიმუშოდ მუშაობდა მსაჯთა კოლეგია.

შ. კულულაშვილი

## როგორ ემზადებიან ჩვენი „ბ" კლასის გუნდები

## „ლოკომოტივი" (თბილისი)

თბილისის რკინიგზელები წელს ითამაშებენ დაახლოებით იგივე შემადგენლობით, როგორც გასულ სეზონში, თუ მხედველობაში არ მივიღებთ თავდამსხმელ ახალკაცს, რომელმაც გარკვეული სიმწვავე შეიტანა გუნდის საიერიშო ოპერაციებში.

„ლოკომოტივი" საწვრთნელ სამზადისს შეუდგა იანვრის დასაწყისში. გუნდის შემადგენლობა მთლიანად დაკომპლექტებულია, ცვლილება არ არის ხელმძღვანელობაშიც (უფროსი მწვრთნელი ვ. რამიშვილი, მწვრთნელი ზ. ქვარიანი).

მწვრთნელები დიდ ყურადღებას უთმობენ მოთამაშეთა მრავალმხრივ ფიზიკურ მომზადებას, რათა ყოველმა მათგანმა აიმაღლოს მაჩვენებლები სისწრაფეში, გამძლეობასა და ძალაში.

იანვრის შუა რიცხვებიდან რკინიგზელი ფეხბურთელები ვარჯიშობენ ღია ცის ქვეშ „დინამოს" საწვრთნელ ბაზაზე დიღომში, სადაც მოთამაშეთა წვრთნა და სრულყოფა წარმოებს სხვადასხვა დამხმარე ინვენტარის საშუალებით. ორმხრივ მატჩებში წარმოებს განსაზღვრული ტაქტიკური კომბინაციების დახვეწა, აგრეთვე მუშაობა ცალკეული რგოლების შეთამაშებისათვის. პრაქტიკულ მეცადინეობათა გარდა სასწავლო პროგრამაში დიდი ადგილი აქვს დათმობილი თეორიულ მეცადინეობას.

გუნდმა უკვე ჩაატარა რამდენიმე საწვრთნელი მატჩი, რომლებშიც მონაწილეობდნენ რუხაძე, გაგუა, კუჭავა, წოწელია, მუმლაძე, ჩიჩუა, იაშვილი, ხაზარაძე, ურთქმელიძე, ახალკაცი, მაჭარაშვილი, კახიანი, ცერცვაძე და სხვანი.

თუმცა ოდნავ დაგვიანებით, მაგრამ ოსტატთა კოლექტივთან შექმნილია მოზარდთა სკოლა 50 ნორჩი ფეხბურთელის შემადგენლობით, რომლებთანაც მეცადინეობას აწარმოებენ გამოცდილი მწვრთნელები.

გასულ წელს რკინიგზელებმა კარგი ინიციატივა წამოიწყეს იმით, რომ დიღომში შეუდგნენ საკუთარი ბაზის აგებას, მაგრამ ეს მშენებლობა საჭიროა დაჩქარდეს, რათა „ლოკომოტივის" ფეხბურთელებს ჰქონდეთ ყოველმხრივ კეთილმოწყობილი საკუთარი ბაზა. სწორედ აქ უნდა გაშალოს „ლოკომოტივმა" ინტენსიური მუშაობა არა მარტო გუნდის დღევანდელი შემადგენლობის ხარისხიანი მომზადებისათვის, არამედ მომავალ ოსტატთა აღზრდისათვისაც.

## გულშემატკივარი ფეხბურთზე

# შემოქმედებითი შრომა, სიბეჯითე და მონდომება

ფეხბურთის მოყვარულთა შორის არის ერთი კატეგორია, რომელიც განსაკუთრებული სიმწვავით განიცდის ყველაფერს, რაც ფეხბურთს ეხება. მათ არ შეუძლიათ უმისოდ რომ არ გამოთქვან თავიანთი აზრი ფეხბურთზე და არ გაუზიარონ სხვას თავიანთი სანუკვარი ფიქრები.

ეს ის ხალხია, რომლებიც ყოველგვარ ამინდში დგანან „დინამოს" სტადიონზე, სადაც თავიანთი საფეხბურთო „კლუბი" აქვთ შექმნილი და ყოველგვარი რეგლამენტის გარეშე უზიარებენ ერთმანეთს განვლილ ბრძოლათა შთაბეჭდილებებსა და მომავლის პროგნოზებს, უზიარებენ ერთმანეთს თავიანთ შეხედულებებს ცალკეულ ფეხბურთელებზე, მწვრთნელებზე, მსაჯებზე და ძნელად რომ ვინმე იყოს უკეთ გარკვეული ამ საფეხბურთო დეტალებში.

მათ ყველაფერი იციან. თითქმის სულ უმნიშვნელო ცნობაც კი, რომელიც თითქოს შორეულ ნიავს მოაქვს აქ, წამსვე გაცხარებული დავის საგნად იქცევა. ერთი სიტყვით „ეს კლუბი" სრული ცხოვრებით ცხოვრობს და სიმართლე უნდა ითქვას, კაცი აქ ბევრს გაიგებ საინტერესოსა და საყურადღებოს.

... ნელი ნაბიჯით ვუახლოვდები სტადიონს და შორიდანვე ვამჩნევ აღელვებულ ადამიანებს, რომლებიც გაცხარებით კამათობენ. ვცდილობ შეუმჩნევლად მივუახლოვდე მათ და ჩავება საუბარში. მცირე ხანს შემდეგ მე უკვე მათს წრეში ვარ.

დასაწყისში ერთგვარ უხერხულობას ვგრძნობ, მაგრამ ეს თანდათან გადის. ცოტა ხანს შემდეგ უკვე ველარ ვიკავებ თავს და კამათის ერთ-ერთი აქტიური მონაწილე ვარ. ერთი დაუგდეთ ყური ამ ხალხს: რა სიყვარული, რა გაუტეხელი რწმენა იგრძნობა ჩვენი გუნდის, ჩვენს მოთამაშეთა მიმართ. არ შეიძლება არ აგიყოლიოთ წმინდა გულიდან ამოხეთქილმა პატრიოტულმა გრძნობებმა.

გადის კიდევ დრო და მე ვამჩნევ თუ როგორ ჭარბობს თანდათან გრძნობა შეგნებას. მომავალ გამარჯვებათა სიხარული ისე ძლიერად ედება ორგანიზმს, რომ სხვა ყველაფერი უკანა პლანზე გადადის. თურმე, რა სასიამოვნოა ვარდისფერი სათვალეებით უცქირო მომავალს და ყველაფერი კარგად, უნაკლოდ გეჩვენებოდეს. და მეც მადლობის გრძნობით ვივსები იმ გულშემატკივართა მიმართ, რომელთაც ასეთი იმედი ჩამინერგეს ამ მცირე გასაუბრების დროს.

ფეხბურთელებს სრული უფლება აქვთ დამშვიდებით იყვნენ. გულშემატკივართა დიდი არმია მტკიცედ დგას თავის პოზიციებზე და საიმედო ზურგსა ქმნის. ეს ცხადია: ფეხბურთის მოყვარულნი სრულ მზადყოფნაში არიან და არ უღალატებენ თავიანთ საქმეს, მაგრამ გუნდი? მოთამაშეები? ისინი როგორღა არიან?

ისინი არ გვიღალატებენ, არ შეგვარცხვენენ. ამ მტკიცე რწმენით აღსავსე და კმაყოფილი ვტოვებ „კლუბს", ვტოვებ სტადიონს და ვეშვები ახალ სანაპიროზე. აქ, მტკვრის ნაპირას, ადრინდელი აღფრთოვანება ნელნელა ადგილს უთმობს ზომიერებას და თანდათან ვგრძნობ მყარ ნიადაგს ვხედავ ლამაზი სანაპიროს მოასფალტებულ ზედაპირს, მაგრამ ყოველ ნაბიჯზე ვამჩნევ, რომ იგი ისეთი სწორი და გლუვი არ არის, როგორც ერთი შეხედვით ჩანდა. სულ უფრო ხშირად ვამჩნევ უსწორმასწორო ადგილებს, ამოვარდნილ ნაჭრებს, ღრმულებს. ზოგან შეიძლება ფეხიც კი წაიტეხოს კაცმა. ავტომანქანებს კიდევ უფრო უჭირთ. უკვე შებინდებულია, ისინი ანთებული სინათლეებით ცდილობენ კარგი გზის მოძებნას და ყოველთვის ვერც მიხვდები შემხვედრი მანქანის ტაქტიკურ მანევრს. და მე ასე მგონია, რომ თუ კარგად მომზადებული არა ხარ და ყურადღებით არ იყურები წინ, შეიძლება ყველაზე უკეთესი მანქანითაც კი გადაეყარო ხიფათს.

როცა ჩვენი გუნდი ცუდად თამაშობდა, მე არ ვიყავი მომხრე მოთამაშეთა უმეტესობის შეცვლისა, არ ჩავვარდნილვარ პანიკაში. სადღაც, გულის სიღრმეში მუდამ ღვიოდა იმედის ნაპერწკალი, ახლა კი, ბრწყინვალე გამარჯვებათა შემდეგ მე სულაც არ მინდა იმ განწყობილებით ვიყო, რომ წარმატება თავისთავად მოვა და ყველაფერი წესრიგშია. იქ, სადაც უწინ იმედის ნაპერწკალი იყო მიმალული, ახლა მცირე შეშფოთება სუფევს.

გასულ წელს ჩვენი გუნდის თამაშში დიდი გარდატეხა მოხდა მოწინააღმდეგეთათვის მოულოდნელად და მათ შეიძლება ვერც მოსწრეს მომზადებულიყვნენ კონტრზომებისათვის ახლა კი, როცა მათ საკუთარ ტყავზე გამოსცადეს ჩვენი ძალა, ეჭვი არაა მზადება ანგარიშის გასასწორებლად საგანგებო იქნება. ცხადია, რომ თამაში მოგვიწევს კიდევ უფრო რთულ ვითარებაში.

მხოლოდ გუშინდელი საშუალებებით ბრძოლა დღეს უკვე ჩამორჩენას ნიშნავს. ტაქტიკის ძალა მდგომარეობს სიახლეთა რაციონალურ გამოყენებაში. ერთობ ბევრი კოზირი უნდა გქონდეს, რომ გახსნილი კარტით ითამაშო. თუ ბოქლომის მექანიზმი ცნობილია, მისთვის ძნელი აღარაა გასაღების მორგება.

ვინ მოგვცემს იმის გარანტიას, რომ ჩვენი მოწინააღმდეგენი ვერ იპოვნიან გასაღებს ლოლობერიძის, მესხის, იამანიძის, კალოევის, ბარქაიასა და სხვათა თამაშის საწინააღმდეგოდ? რომ მათი თავდამსხმელები არ ამზადებენ ახალ სიურპრიზებს, რათა გამოიყენონ სისუსტეები ჩვენს დაცვაში?

რა დასამალია, რომ ასეთი სისუსტეები და ნაკლოვანებანი ჩვენ ჯერ კიდევ საკმარისად გვაქვს და თუ გამარჯვებათა დროს ჩვენ ვერ ვამჩნევდით მათ, ეს სულაც არ ნიშნავს, რომ გუნდს ისინი არ გააჩნია.

ვთქვათ, საჭირო შეიქმნა მეკარე კოტრიკაძის შეცვლა. ვინ დაიცავს კარს? კავაზაშვილი სხვა გუნდში გადავიდა, დანარჩენი ჩვენი მეკარეები კი მზად არ არიან.

გუნდის ტაქტიკაში ჯერ კიდევაა დარჩენილი სქემატურობა, შაბლონი, მოთამაშეებიც ყოველთვის არ აძლევენ გუნდს თავიანთ მაქსიმუმს. ხშირად ვხვდებით შეუსაბამობას დაცვაში, არათანაბარი სიძლიერით ატარებს მატჩებს ხოჯოლავა, ტექნიკური ხასიათის შეცდომები აქვს ზეინკლიშვილს და ისეთი ვირტუოზიც კი, როგორიც მესხია, ზოგჯერ უსაქმოდ დგას მინდორზე. ერთი სიტყვით, შეცდომები არის და საკმაოდაც.

თბილისის „დინამოს" მწვრთნელებსა და მოთამაშეებს დიდი შრომა დაჭირდათ, რათა ფართო გზაზე გამოსულიყვნენ. ახლა, რომ მიღწეული განვამტკიცოთ და კიდევ უფრო წინ წავიდეთ, საჭიროა უფრო მეტი მუშაობა, მეტი გამომგონებლობა, ენერგია და მონდომება,

ათასგვარი ამგვარი ფიქრი მიტრიალებს და ვერ მიპატიებია საკუთარი თავისათვის, რომ ასე იოლად ავყევი ოცნებას იქ, გულშემატკივართა „კლუბში".

გავცდი ხიდს. ოდნავ წამოწევმა და ლამპიონების შუქზე ასფალტი კიდევ უფრო მომხიბლავად აპრიალდა, მაგრამ ეხლა იოლად აღარ მოვტყუვდები. წვიმამ თუმცა კი შეალამაზა ასფალტი, მაგრამ კიდევ უფრო სახიფათო გახადა იგი — ზედაპირი სლიპია და საშიში.

საყვედურით კი არა, ამხანაგურად მინდა მოგცეთ შენიშვნა ძვირფასო ფეხბურთის მოყვარულებო! ჩვენც გვჯერა ჩვენი ფეხბურთელებისა და მწვრთნელების, ჩვენ ვამაყობთ მათი მიღწევებით, მაგრამ მით უფრო საჭიროა დავიცვათ ისინი იმ მავნე ზეგავლენისაგან, რომელმაც მეც გამიტაცა გულშემატკივართა „კლუბში".

წინაა გათამაშება და მე მსურს თბილისის „დინამოს" ყველა ქომაგთან ერთად კვლავ განვიცადო სასიამოვნო წუთები. მსურს ჩვენი გუნდის გამარჯვებაში ვიხილო ზემოთქმული სიტყვების სიმართლე და მაშინ სრულიად გავთავისუფლდები იმ მცირე შეშფოთებისაგან, რომელიც სადღაც გულის სიღრმეში ჩამალული.

ა. გალპერინი,
სპორტის დამსახურებული ოსტატი.

საბჭოთა კავშირის 1960 წლის პირადი პირველობა თავისუფალ ჭიდაობაში.



# დარჩა ფინალი!

შეჯიბრების დაწყებამდე ზოგიერთები ფიქრობდნენ, რომ ლვოვის ტურს უფრო მეტი სიამოვნების მიყენება შეუძლია მაყურებლებისათვის, ვიდრე თბილისის ტურს. ლვოვში მართლაც ბევრი ქართველი მოჭიდავე გამოდის, მაგრამ განა თბილისში ოქროს მედლებისათვის ბრძოლას უინტერესობის რაიმე დაღი ატყვია? პირიქით. ყოველი წრე, ყოველი დღე აღსავსეა ამაღელვებელი შეხვედრებით, უფრო მეტად კანონზომიერი შედეგებით და ზოგჯერ — სენსაციებით. დიახ, თავისუფალ ჭიდაობაში საბჭოთა კავშირის პირველობას (მჩატე, მსუბუქ, საშუალო და მძიმე წონებში), რომელიც თბილისში ტარდება, აქვს თავისი მოულოდნელობებიც, რომელიც კიდევ უფრო მეტ ინტერესს იწვევს სპორტის მოყვარულებში.

№ 1 სენსაცია ამ ჩემპიონატში, მოსკოველი სპორტის ოსტატის რ. ჯლამაძის გამოსვლაა. ჯლამაძეს თბილისის მაყურებელი პირველად ორი წლის წინ გაეცნო საკავშირო პირველობაზე, სადაც იგი ლიტვის არმიელთა გუნდის ღირსებას იცავდა. რისი თქმა შეიძლებოდა მაშინ ამ ახალგაზრდა მოჭიდავეზე? არაფრის. იბრძოდა ჯლამაძე ახალგაზრდული გატაცებით, ტემპერამენტით და მეტი არაფერი. გავიდა ორი წელი და ამ უდაოდ ნიჭიერმა მოჭიდავემ ბევრი სასარგებლო თვისება შეიძინა: დადინჯდა, უფრო გააზრებულად იწყო მოქმედება, მოემატა მას ძალა, ხერხი და გამძლეობა.

ჯლამაძეს ტურნირის დასაწყისში ფავორიტად არავინ თვლიდა. ან და ვის უნდა მოსვლოდა აზრად მისი გვარი, როდესაც მსუბუქ წონაში უნდა გამოსულიყვნენ მსოფლიოს ჩემპიონი ვ. სინიავსკი, და ცნობილი მოჭიდავეები ლ. სალიმულინი, ლ. კოლესნიკი და ა. გვიმრაძე. საერთო ყურადღება სწორედ ამ ოთხეულისაკენ იყო მიპყრობილი და ტურნირის ლიდერს სწორედ ამათგან ელოდნენ. ჯლამაძემ შეჯიბრება წმინდა მოგებით დაიწყო. მისი პირველი მსხვერპლი იყო როსტოველი ლ. ჩერნენკო. მეორე წრეში მან ქულებით მოუგო ლენინგრადელ ი. ბარეიკინს. მესამე წრეში — კვლავ წმინდა გამარჯვება, ამჯერად მახაჩ-ყალელ მ. გაჯიევზე. ამ პირველი წარმატებებით იგი ლიდერთა შორის აღმოჩნდა, მაგრამ ეს კიდევ არაფერს ნიშნავდა. მთავარი იყო ის, რომ ჯლამაძე ჩინებულად ხმარობდა სარმებს, მოგვერდს (ქართული ჭიდაობის ნაცად ილეთებს) და გამარჯვებებს სწორედ ამით აღწევდა.

მეოთხე წრეში ჯლამაძე შეხვდა მსოფლიოს ჩემპიონს ვ. სინიავსკის. არც აქ უღალატა მან თავის მთავარ საბრძოლო იარაღს და მრისხანე მეტოქეს თავიდანვე მოახვია ქართული ჭიდაობის ილეთები. სინიავსკი გაფრთხილდა, რადგან ერთერთმა სარმამ მას ქულა დააკარგვინა. მსოფლიო ჩემპიონმა გადაწყვიტა პირველი ექვსი წუთის როგორმე გადატანა და ბრძოლის დაწყება ჩოქბჯენში, სადაც მას უდაო უპირატესობა ექნებოდა. მაგრამ ჯლამაძე სულ სხვაგვარად ფიქრობდა. მისი მიზანი იყო პირველ ექვს წუთში (დგომში) გადაეწყვიტა ბრძოლის ბედი, ამიტომ შეტევა შეტევაზე წარმართა.

სინიავსკიმ აშკარად აიღო კურსი პასიურ ბრძოლაზე, რის გამოც მიიღო გაფრთხილება. დამთავრდა პირველი ექვსი წუთი და ჯლამაძის უპირატესობა აშკარა იყო. მან ბრძოლის გაგრძელება დგომში აირჩია და ამით მოწინააღმდეგეს მოუსპო მთავარი კოზირი — ჩოქბჯენი. დარჩენილ წუთებში ჯლამაძემ შეინარჩუნა უპირატესობა და მოიპოვა საჭირო გამარჯვება ქულებით. იგივე განმეორდა მეხუთე წრეში, იმ განსხვავებით, რომ ამჯერად კარგად შესრულებულმა სარმამ მეოთხე წუთზე ბეჭებზე დასცა ლ. სალიმულინი.

ამ წონით კატეგორიაში კარგად გამოდის თბილისელი ა. გვიმრაძე — გამოცდილი, ინიციატივიანი და ტემპერამენტიანი მებრძოლი. გვიმრაძემ ხუთ შეხვედრაში მხოლოდ ორი საჯარიმო ქულა მიიღო. პირველ წრეში მან ქულებით დაამარცხა ა. მოსკალიოვი (ალმა-ატა), ხოლო მეოთხეში — მოსკოველი გ. ვენგლინსკი. მას აქვს წმინდა გამარჯვებები ე. მაისურაძეზე (თბილისი), ა. ცვისკელსზე (ლატვია) და ივარინენზე (ესტონეთი).

საშუალო წონაში ჩემპიონატი 25-მა სპორტსმენმა დაიწყო, ამათგან 10 ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენელია. მოჭიდავეები ხუმრობენ — საშუალო წონაში საქართველოს პირველობა თამაშდებაო. ასეა თუ ისე ბრძოლა ოქროს მედლისათვის აქ უაღრესად დაძაბულ ფორმებს იღებს და თავისთავად ცხადია ყველა, როგორც ერთი, განსაკუთრებულ „ჟინიანობას" იჩენენ სახელმოხვეჭილ სპორტსმენთა წინააღმდეგ. დაკარგვით ისინი არაფერს კარგავენ, წარმატება კი ვთქვათ მსოფლიოს ჩემპიონთან გ. სხირტლაძესთან უკვე თავისთავად დიდი ამბავია. სწორედ ასეთი განწყობით გამოვიდა თბილისელი ჩემპიონის წინააღმდეგ უკრაინელი ს. პინსკი. მართალია, მან ვერაფერი მოუხერხა მსოფლიოს ჩემპიონს, მაგრამ არც მას გააკეთებინა რამე და ბრძოლა ფრედ დამთავრდა. პინსკისთვის ეს საპატიო შედეგია, სხირტლაძემ კი მეტად უსიამოვნო ორი საჯარიმო ქულა მიიღო. როგორც ჩანს, შედეგმა „გაამძვინვარა" სხირტლაძე და მან ზედიზედ სამი წმინდა გამარჯვება მოიპოვა (ვილნიუსელ ა. ლადეტაზე, ბაქოელ ა. ჰასანოვზე და თბილისელ მ. კილასონიაზე).

მძიმე წონაში ყველაფერი განრიგით მიდის. სუსტებმა უკვე დატოვეს ასპარეზი და ბრძოლის უფლებას მხოლოდ ღირსეულები ინარჩუნებენ. მათ შორისაა თბილისელი ო. კანდელაკი, რომელსაც „ოდნავ გაუფუჭა" სატურნირო მდგომარეობა მოსკოველმა ა. ივანიცკიმ. მესამე წრეში მათი შეხვედრა ფრედ დამთავრდა, მაგრამ ივანიცკისაც სერიოზული პრეტენზიები აქვს პირველ ადგილზე თუ არა — ხუთეულში მოხვედრაზე მაინც. ამასთან იგი ჯერ კიდევ ახალგაზრდაა და ესე იგი, მეტი სითამამე და აზარტი აქვს. თუმცა ეს სითამამე ივანიცკის ძვირად დაუჯდა მეოთხე წრეში. საბჭოთა კავშირის ჩემპიონთან ს. ძარასოვთან მან წამით შეასუსტა ყურადღება, რაც შეხვედრის ქულებით წაგებისათვის საკმარისი აღმოჩნდა. ასე „ულმობლად" დაჩაგრა ჩემპიონმა დაღესტნელი ს. ასიატილოვიც. ნელა, მაგრამ მეთოდურად მიიწევს წინ ი. ვიხრისტიუკი, რომელსაც 5 წრის შემდეგ მხოლოდ 3 საჯარიმო ქულა აქვს.

მონაწილეთა ყველაზე დიდი რაოდენობაა მჩატე წონაში. სამაგიეროდ ოქროს მედალსაც მეტი პრეტენდენტი ჰყავს. ეს კარგად იგრძნო პირველსავე წრეში საბჭოთა კავშირის ჩემპიონმა თბილისელმა ვ. არსენიანმა. მისმა მოწინააღმდეგემ ს. კაზაროვმა (როსტოვი) ერთადერთი ილეთი ჩაატარა, მაგრამ ესეც საკმარისი იყო. ტურნირის დაწყებამ 3 საჯარიმო ქულით, როგორც ჩანს, იმოქმედა არსენიანზე და მან ზედიზედ ოთხი შეხვედრა მოიგო წმინდად.

• • •

გუშინ საღამოთი გაიმართა მეექვსე წრის შეხვედრები. მოგვყავს ამ შეხვედრათა შედეგები: მჩატე წონა — ი. ზამიატინმა (ლენინგრადი) წმინდად მოუგო ს. ავეტიანს (ერევანი), მ. შახოვმა (კიევი) ქულებით — ს. კაზაროვს (როსტოვი), ვ. არსენიან (თბილისი) — ი. ლოსიკის (მინსკი) და ზ. მჭედლიშვილ (თბილისი) — ა. იბრაგიმოვის (ბაქო) შეხვედრები ფრედ დამთავრდა. 6 წრის შემდეგ მ. შახოვს აქვს 4 საჯარიმო ქულა, ვ. არსენიანს — 5, ზ. მჭედლიშვილსა და ი. ზამიატინს — 6-6, ა. იბრაგიმოვს — 7.

მსუბუქი წონა — ა. გვიმრაძემ (თბილისი) წმინდად მოუგო ო. საზონოვს (კიევი), ვ. სინიავსკიმ (კიევი) ქულებით — გ. ვენგლინსკის (მოსკოვი), რ. ჯლამაძემ (მოსკოვი) ქულებით — ლ. კოლესნიკს (ლენინგრადი). მსუბუქ წონაში გადამწყვეტი შეხვედრების წინ ასეთი მდგომარეობაა: ა. გვიმრაძე — 2 ქულა, რ. ჯლამაძე — 3 ქულა, ლ. კოლესნიკი — 6 ქულა, ვ. სინიავსკი — 7 ქულა.

საშუალო წონა — მეხუთე წრე — გ. გობეჯიშვილმა წმინდად მოუგო მ. კილასონიას, გ. სხირტლაძემ — ქ. ვართანოვს (თბილისი), ჯ. დავლიანიძე (თბილისი) — ვ. ლეტუნის (მინსკი) და ა. კუჩიევ (ორჯონიკიძე) — ი. გრიუნმანის (ტალინი) შეხვედრები დამთავრდა ფრედ. მეექვსე წრე — ვ. ლეტუნმა წმინდად მოუგო გ. გობეჯიშვილს, ა. აგაბეკიანმა (მოსკოვი) — ი. გრიუნმანს (ტალინი), გ. სხირტლაძე — ა. კუჩიევის შეხვედრა დამთავრდა ფრედ. საშუალო წონაში დღეისათვის მდგომარეობა ასეთია: ვ. ლეტუნი — 2 ქულა, გ. სხირტლაძე, ა. აგაბეკიანი — 4-4 ქულა, ჯ. დავლიანიძე — 5 ქულა, გ. გობეჯიშვილი — 6 ქულა.

მძიმე წონა — ა. ივანიცკიმ (მოსკოვი) წმინდად მოუგო ს. ასიატილოვს (მახაჩ-ყალა), ა. მედვედი (მინსკი) — ი. ვიხრისტიუკისა (კიევი) და ო. კანდელაკი (თბილისი) — ს. ძარასოვის (ორჯონიკიძე) შეხვედრები დამთავრდა ფრედ. 6 წრის შემდეგ მძიმე წონაში ასეთი მდგომარეობაა: ო. კანდელაკი — 4 ქულა, ი. ვიხრისტიუკს, ა. მედვედს და ა. ივანიცკის აქვთ 5-5 ქულა, ს. ძარასოვს — 6.

ნ. ახვლედიანი

• • •

სურათზე: კიდევ წამი და ო. კანდელაკი ბეჭებზე დასცემს თავის თანამემამულეს ზ. ჯორბენაძეს.

## ოთხი რესპუბლიკის მძლეოსანთა მატჩი

გუშინ თბილისის „დინამოს" სტადიონზე დაიწყო მოლდავეთისა და ამიერკავკასიის რესპუბლიკების მძლეოსანთა სამატჩო შეხვედრა, რომელიც წმიდა მძლეოსნური სახეობების გარდა საერთო ფიზიკური მომზადების ოთხჭიდებში შეჯიბრებასაც ითვალისწინებს.

გასულ წელს ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლები მსგავს შეჯიბრებაში მეორე ადგილზე გამოვიდნენ და ახლა რევანშის აღების სურვილით ჩაებნენ შეჯიბრებაში, მაგრამ გამარჯვებისადმი ლტოლვა არც სხვა რესპუბლიკების მძლეოსნებს ჰქონდათ ნაკლები და მდგომარეობა დასაწყისშივე დაიძაბა, როცა სტარტზე 10 კილომეტრზე სპორტულ სიარულში მონაწილენი გამოვიდნენ.

როგორც მოსალოდნელიც იყო სტარტიდან ფინიშამდე ლიდერობა არავისთვის არ დაუთმია საბჭოთა კავშირის ოლიმპიური ნაკრების წევრს თბილისელ ა. შჩერბინას, რომლის შედეგია 45.08,4. მეორე იყო ერევნელი ვ. არზუმანიანი — 46.15,6.

საქართველოს უძლიერესმა სპრინტერმა ლ. ანთაძემ 60 მეტრზე რბენაში ერთი მეათედი წამით მოუგო მოლდაველ გ. კასანოვს — 6,7. ეს უკანასკნელი უძლიერესი იყო 300 მეტრზე რბენაში — 36,3 მაშინ, როცა ლ. ანთაძე მხოლოდ მე-4 ადგილზე გამოვიდა. ამ დისტანციაზე მეორე იყო ზ. ჯარაშნელი — 36,5.

300 და 600 მეტრზე მორბენალი ვაჟებიდან ორივე სახეობაში გაიმარჯვა აზერბაიჯანელმა ვ. ბიჩკოვმა — 35,8 და 1.26,7. თბილისელი ვ. ნაგორნი შესაბამისად მე-3 და მე-2 ადგილზე გამოვიდა.

სიგრძეზე ხტომაში მხოლოდ თბილისელმა რ. ქვაჩაკიძემ გადალახა 7 მეტრიანი ზღვარი. მისი შედეგია 7.02 მ. ასევე მიუღწეველი აღმოჩნდა მისი თანაგუნდელი ვ. ვენცკევიჩის შედეგი ჭოკით ხტომაში — 4.00 მ. დანარჩენი მძლეოსნებისათვის.

ქალთა შორის 300 მეტრზე რბენაში გაიმარჯვა ლ. თოფჩიშვილმა — 43,44, რომელსაც 2 მეათედი წამით ჩამორჩა ფ. სტრახერი.

40 მეტრზე თარჯრბენში უძლიერესი იყო რ. ქოჩლაძე — 6,1, ხოლო 100 მეტრზე რბენაში ლ. იევლევა — 12,7.

აზერბაიჯანელთა გამარჯვებით დამთავრდა ესტაფეტები 4×500 და 4×1000 მეტრზე რბენაში.

შეჯიბრება გრძელდება.

გ. სამსონაძე

## ლვოვიდან გვატყობინებენ...

ლვოვი. 19 მარტი. (ჩვენი სპეც. კორ.). აქ ტარდება საბჭოთა კავშირის პირველობა თავისუფალ ჭიდაობაში უმჩატეს, ქვემსუბუქ, ქვესაშუალო და ქვემძიმე წონით კატეგორიებში.

ხუთი წრის შემდეგ უმჩატეს წონაში ტურნირს ლიდერობდა მსოფლიოს ჩემპიონი ალიევი (მახაჩყალა), რომელსაც არ ჰქონდა საჯარიმო ქულა. მეექვსე წრეში ალიევმა ქულებით დაამარცხა ცალქალამანიძე. დიდხანს ლიდერთა შორის იყო საიადოვიც, მაგრამ ბოლოს მან წააგო შეხვედრა კარავაევთან. მეექვსე ტურისათვის კარავაევმა შეწყვიტა ბრძოლა.

ქვემსუბუქ წონაში წაუგებლად მიდის თბილისელი ოსტატი ვ. რუბაშვილი. მას აქვს 1 საჯარიმო ქულა. სამ-სამი ქულა აქვთ ორჯონიკიძელ მირზოევს და ერევნელ კირაკოსიანს. ჯერჯერობით მეოთხე ადგილზეა ლენინგრადელი ტინკოვი.

ქვესაშუალო წონაში არც ერთი საჯარიმო ქულა არ აქვს კიეველ ნებიერიძეს. მეექვსე წრემდე კარგად მიდიოდა ორჯონიკიძელი ბეკმურზოვიც, მაგრამ იგი მეექვსე წრეში დამარცხდა მოსკოველ გორბატენკოსთან შეხვედრაში.

ქვემძიმე წონაში წინაა ორჯონიკიძელი კულაევი. მასაც ჯერ არა აქვს საჯარიმო ქულა. ლიდერს ფეხდაფეხ მოჰყვება ზემლიანოვი (1 ქულა). მეხუთე ტურამდე ლიდერთა შორის იყო ა. ალბული, მაგრამ მან მოულოდნელი დამარცხება განიცადა ალმა-ატელ ალიხანოვისაგან. მომდევნო ტურში ალბულმა მოუგო გურევიჩს. 6 წრის შემდეგ ალბულს 5 საჯარიმო ქულა აქვს.

მეგობრული შარჟი ა. რევაზიშვილისა



ცნობილი მოჭიდავე, სპორტის დამსახურებული ოსტატი ვ. ბალავაძე ტრავმის გამო შეჯიბრებაში არ მონაწილეობს.



★

ზამთრის ეროვნული ზაზრობა კამჩატკელი კორიაკების ყველაზე დიდი დღესასწაულია, რომელზეც აქაური სპორტსმენები მოქნილობისა და მამაცობის დემონსტრირებას ახდენენ. დღესასწაულზე იმართება შეჯიბრებები ჭიდაობაში, სროლაში, ცეკვებში, აგრეთვე მარხილებით რბოლაში, რომლებშიც ირმებია შებმული.

• • •

სურათზე: ყინვა 50 გრადუსს აღწევს, ეს ხელს არ უშლის „თოვლის სარბიელზე" ორი ჭაბუკის ბრძოლას. აქაური წესების მიხედვით მოჭიდავეები — ტ. ტულიკოვი და ნ. ლი წელამდე არიან გახდილნი.

ფოტო ი. მურავინისა.

★

ზული წარმატება, რაც უფლებას გვაძლევს ვიფიქროთ, რომ უახლოეს წლებში იგი შეძლებს არა მარტო ოსტატობის მოპოვებას, რაც ჩვენი რესპუბლიკის „იშვიათი სტუმარია" ამ სახეობაში, არამედ ელიტის... თა რიგებში ჩადგომასაც.

ქალთა შორის სტარტი პირველად ოლიმპიელ ე. კაბინას („დინამო") მიეცა, რომელმაც საკმაოდ მაღალი შედეგი — 1.38,8 აჩვენა. მაგრამ იგი საკმარისი არ აღმოჩნდა გამარჯვებისათვის. მის შედეგს 3,... წამი „ჩამოაჭრა" მეორე ოლიმპიელმა, ჩვენი ქვეყნის 8-გზის ჩემპიონმა ლ. ვოლკოვამ. შემდეგ მას გაასწრეს მისმა დამ და თანაგუნდელმა თ. სიდოროვამ, ლოკომოტიველმა ა. არტიომენკომ და ბოლოს არმიელმა ს. კორზუხინამაც, რომელმაც შედეგით — 1.34,7 პირველად მოიპოვა ჩემპიონობა.

ო. გელაშვილი
ჩვენი სპეც. კორ.




# ფინიშზე დაკარგული პირველობა

სამთო მოთხილამურეთა საკავშირო გუნდური პირველობის უკანასკნელ სახეობას სწრაფდაშვება შეადგენდა. მას უნდა გამოევლინა გამარჯვებული კოლექტივები და იმ სპორტსმენებს, რომლებმაც მანამდე ვერ მოიპოვეს პირადი პირველობის ფინალში მონაწილეობის უფლება, ერთხელ კიდევ აძლევდა საშუალებას მოხვედრილიყვნენ სასურველ ათეულში. გუნდურ ჩათვლაში „ტრუდის" სპორტსმენებმა ბოლომდე შეინარჩუნეს უპირატესობა და მოიპოვეს გარდამავალი პრიზი. „დინამო" გამოვიდა მეორე ადგილზე, ცსკ მო — მესამეზე. პრიზის წინანდელი მფლობელები, სპარტაკელები ამჯერად მეოთხე ადგილით დაკმაყოფილდნენ. მეორე ჯგუფში უკანასკნელ დღეს ყველაფერი აირია. ცუდად გამოვიდნენ ლიდერის — საქართველოს „კოლმეურნის" მოთხილამურე ვაჟები. ჯერ იყო და შ. კოზანაშვილი ფინიშთან დაეცა და თხილამურის სამაგრი გაუტყდა, თუმცა მან შეძლებისდაგვარად სწრაფად შეაკეთა იგი და ტრასაც დაამთავრა, მაგრამ უკვე გვიან იყო — წამმზომები „ავანგარდელთა" სასარგებლოდ მოქმედებდნენ და უძლიერესის სახელიც მოუტანეს მათ მეორე ჯგუფში. გუნდის ხსნა შეეძლო ა. ჯეირანაშვილს. მას ჯერ კიდევ სტარტზე აცნობეს თანაგუნდელის მარცხი. სპორტსმენმაც არ დაზოგა ძალები, თითქოსდა შესანიშნავად განვლო ტრასის მნიშვნელოვანი ნაწილი, მაგრამ საკმარისი აღმოჩნდა ოდნავ შეესუსტებინა ყურადღება, წონასწორობა დაეკარგა, დაცემულიყო და გაეტეხა თხილამური, რომ გუნდის მიერ ოთხი დღის ბრძოლაში მოპოვებული უპირატესობა ერთბაშად გამქრალიყო.

ამ დღეს არც უძლიერესთა შორის მოხვედრის მსურველებს გაუმართლდათ. ისე, როგორც წინა დღეებში, ამჯერადაც ისინი „თამაშგარე" დარჩნენ. ჩემპიონის ოქროს მედლისათვის მებრძოლთა რიგებს 29 ვაჟი და 17 ქალი შემორჩა.

პირადი პირველობა დაიწყო სწრაფდაშვებით. ვაჟთა შორის შეჯიბრების ბოლომდე ვერავინ შეძლო ნახევარფინალში გამარჯვებულ ვ. ტალიანოვის (ცსკ მო) შედეგის — 1.58,5 — გაუმჯობესება, მათ შორის ვერც ჩვენი ქვეყნის მრავალგზის ჩემპიონმა დინამოელმა ა. ფილატოვმა. და როცა უკანასკნელ მონაწილეს, სპარტაკელ დ. კარტაშოვს საკონტროლო მონაკვეთზე 0,3 წამით უარესი შედეგი აღმოაჩნდა, ტალიანოვის ჩემპიონობას უკვე ზეიმობდნენ მისი გულშემატკივრები. კარტაშოვი კი თავბრუდამხვევი ტემპით, საათში 60-მდე კილომეტრის სისწრაფით განაგრძობდა სვლას ფინიშისაკენ. ტრასის დარჩენილ მონაკვეთზე მან არა მარტო ჩამორჩენის გამოსწორება შეძლო, არამედ 0,8 წამით უკეთესი შედეგიც აჩვენა ფინიშზე და ჩვენი ქვეყნის მიმდინარე ჩემპიონატში პირველი ოქროს მედალი მოიპოვა. მისი შედეგია 1.58,2.

კვლავ ქების ღირსია გ. აბრამაშვილი. მის მიერ სწრაფდაშვებაში მოპოვებული მე-18 ადგილი, 17 წლის ჭაბუკის მიერ 14 ოსტატის უკან ჩამოტოვება უდავოდ სერიოზული წარმატება, ...

გუშინ ბაკურიანში გაიმართა საკავშირო პირადი პირველობის პროგრამით გათვალისწინებული შეჯიბრება გიგანტურ სლალომში. ვაჟთა 1620 მეტრიან ტრასაზე, ტალიანოვმა (ცსკ მო) და ჩვენი ქვეყნის არაერთგზის ჩემპიონმა ფილატოვმა („დინამო") აჩვენეს ერთნაირი შედეგი 1.55,2 და მოიპოვეს ოქროს მედლები. ეს ფილატოვისთვის 25-ე ოქროს მედალია. მესამეზეა სპარტაკელი კარტაშოვი — 1.55,5.

ქალთა შორის შეჯიბრება კვლავ ს. კორზუხინას (ცსკ მო) გამარჯვებით დამთავრდა — 1.48.8.

რედაქტორი ი. უგულავა.




სსრ კავშირის ფეხბურთელებმა დაამთავრეს საწვრთნელი შეკრება გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში, რის შემდეგ პირველი ნაკრები 16 კაცის შემადგენლობით გაემგზავრა ჰოლანდიაში.

სსრ კავშირის ნაკრები გუნდი, რომლის შემადგენლობაში იყვნენ იაშინი; კესარევი, მასლიონკინი, კუზნეცოვი; ვოინოვი, ცარიოვი; მეტრეველი, ივანოვი, პონედელნიკი, ბუბუკინი და ილინი, 17 მარტს როტერდამში შეხვდა ერთ-ერთ ადგილობრივ საკლუბო გუნდს „ფეიენორდს".

სტუმრებს გამარჯვება მოუტანა ერთადერთმა ბურთმა, რომელიც ჰოლანდიელთა კარში გაიტანა პონედელნიკმა.

• • •

შავი ზღვის სანაპიროზე მიმდინარეობს საკონტროლო მატჩები „ა" კლასის გუნდებს შორის. მოსკოვის „დინამომ" ანგარიშით 3:0 დაამარცხა ლენინგრადის „ადმირალტეეცი", ცსკ მო-მ მოუგო კიევის „დინამოს" — 3:1, ხოლო ბაქოს „ნეფტიანიკმა" — ლენინგრადის „ზენიტს" — 1:0.

• • •

**ვენა.** აქ შედგა გამეორებითი მატჩი ევროპის ჩემპიონთა თასზე ფეხბურთში, სადაც ერთმანეთს შეხვდნენ ადგილობრივი „ვინერ შპორტკლუბი" და „ეინტრაჰტი" (ფრანკფურტი, გფრ). როგორც ცნობილია, პირველი მატჩი ამ გუნდებს შორის დამთავრდა გერმანელთა გამარჯვებით — 2:1. ავსტრიელებმა ამჯერად შეძლეს მხოლოდ ის, რომ მიაღწიეს ფრეს — 1:1. ამრიგად, „ეინტრაჰტი" გავიდა ნახევარფინალში.

• • •

**გლაზგო.** ევროპის ჩემპიონთა თასის მეორე მეოთხედფინალური მატჩი, რომელიც აქ მიმდინარეობდა შოტლანდიის ჩემპიონს „გლაზგო რეინჯერსსა" და ჰოლანდიის „სპარტას" შორის, დამთავრდა ჰოლანდიელთა მოულოდნელი გამარჯვებით — 1:0.

ვინაიდან ამ გუნდების პირველი შეხვედრა შოტლანდიელებმა მოიგეს ანგარიშით 3:2 და ახლა საერთო ანგარიში გათანაბრდა — 3:3, დაინიშნება მესამე, გადამწყვეტი მატჩი.

## „რეიმსი" დაეწია „ნიმს"

საფრანგეთის ფეხბურთელთა ჩემპიონატის ცხრილში მოხდა მნიშვნელოვანი ცვლილებები, თუმცა ლიდერთა თანმიმდევრობა ჯერჯერობით არ დარღვეულა. 29-ე ტურის მატჩში „ლიონთან" „რეიმსმა" მოიპოვა დამაჯერებელი გამარჯვება — 3:0, დააგროვა 45 ქულა და პოტენციურად გაუსწრო ჩემპიონატის სათავეში მყოფ „ნიმს", რომელსაც 30 თამაშის შემდეგ აქვს 46 ქულა (14 დაკარგული ქულა „რეიმსის" 13 ქულის წინააღმდეგ). კვლავინდებურად მესამე ადგილზეა „რესინგი", რომელმაც უკანასკნელ მატჩში „სენტ-ეტიენთან" მოიპოვა ძნელი გამარჯვება — 4:3. 29 ტურის შემდეგ „რესინგს" აქვს 40 ქულა. მომდევნო ადგილებზე მიდიან: „ტულუზა" — 37 ქულა (უკანასკნელ ტურში დაამარცხა „ვალენსიენი" — 2:1), „ნიცა" (მოუგო „ბორდოს" — 2:1), „მონაკო" („სტრასბურგთან" — 2:0) და „ლიმოჟი" (დამარცხდა „ჰავრთან" — 0:2), რომლებსაც აქვთ 35-35 ქულა.

22 მარტს



თბილისის სახელმწიფო ცირკის შენობაში ჩატარდება ამხანაგური გუნდური შეჯიბრება

ქართულ ჭიდაობაში

მონაწილეობენ: თბილისის, გორისა და კასპის გუნდები.

დასაწყისი 19 ს. და 30 წ.

გაზეთი გამოდის სამშაბათობით, ხუთშაბათობით და კვირაობით. რედაქციის მისამართი: თბილისი, ელბაქიძის დაღმართი № 12. დეპეშებისათვის, თბილისი, „ლელო"
ტელეფონები: რედაქტორის — 3-89-62 პასუხისმგებელი მდივნისა და განყოფილებების — 3-90-34, გამომშვების — 3-01-06.


საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ. № 14.
უე 00976